

საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებაში  
მყოფი არასრულწლოვანი მსჯავრდებულების  
სასკოლო შიში

თათია ადამაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგია

*სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, სრული პროფესორი, დოქტორი*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

## განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებულად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალას, რომელიც ნაშრომში არაა მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თათია ადამაშვილი

## აბსტრაქტი

ნაშრომი მოიცავს სასჯელაღსრულების №11 დაწესებულებაში ამჟამად მყოფი არასრულწლოვანი მსჯავრდებულების სკოლისა და განათლების სისტემისადმი დამოკიდებულებების კვლევას.

კვლევა ჩატარებულია ჩემ მიერ თბილისში, სასჯელაღსრულების #11 პენიტენციური დაწესებულების ბაზაზე არასრულწლოვნების შემოწმება-დიაგნოსტიკისა და მათი სკოლისადმი დამოკიდებულების დადგენის მიზნით. ნაშრომში აღწერილია დამოკიდებულების, კერძოდ შიშების განმსაზღვრელი პროექციული ტექნიკის გამოყენებით ჩატარებული კვლევა, რითაც კომპლექსურადაა განსაზღვრული მოზარდების დამოკიდებულებაზე მოქმედი ფაქტორები. მოცემულია ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს შედეგები, რომლის მიზანიც იყო პრობლემის გამოვლენა, სურვილის დონისა და კმაყოფილების შეფასება და არასრულწლოვნების წარმოდგენაში ცვლილებების აღმოჩენა.

ნაშრომში მოცემულია არასრულწლოვანთა პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულების სკოლასა და სასწავლო პროცესისადმი დამოკიდებულებების კვლევა; მოსწავლეთა პასუხისმგებლობის განსაზღვრა მასწავლებლებისადმი, აკადემიური მეცადინეობებისადმი; იმის დადგენა, თუ რამდენად უკავშირებენ მსჯავრდებულ ახალგაზრდები სკოლაში მიღებულ განათლებას თავიანთ მომავალ მიზნებსა და კარიერას, რამდენად მოტივირებულები არიან ისინი ცოდნის მიღებისა და შემდგომში პრაქტიკაში გამოყენებისთვის.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი შედგება თეორიული მასალისა და კვლევისგან. თეორიული მასალა, თავის მხრივ, იყოფა ორ ნაწილად: არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განათლების სამართლებრივი ასპექტები და არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სწავლისადმი დამოკიდებულების ფსიქოლოგიური ასპექტები. რომელშიც გამოიყოფა შიში, თვითშეფასება და

მოტივაცია. სწორედ ეს მხარეებია ყველაზე მეტდ გასათვალისწინებელი აღნიშნული კატეგორიის მოზარდებთან მუშაობის პროცესში.

## **Abstract**

### **The penitentiary institution and fears of the juveniles in the school**

The work consists of №11 penitentiary facility currently in the school and the research about juveniles attitudes towards the educational system.

The survey was conducted by me at the prison at No. 11 on the basis of child-diagnosis and the idea was to check their attitudes towards school. The paper describes the attitude, in particular, using the fears of projective technique for determining the use of this survey, thus the complex factors affecting the attitude of adults. The results of the semi-structured interview, aim of which was discovering the problem, finding out the level of desire and satisfaction and minor changes in the performance.

The research gives us information about the juvenile penal institutions, their attitudes towards their schools and training process; Determination of responsibility of students towards their teachers, academic studies; To determine how students connect their knowledge with their future goals and career and how they are motivated to further the knowledge and practical use.

The main part consists of theoretical materials and research. Theoretical material, in its way, is divided into two parts: education, legal aspects of juvenile delinquents and juvenile inmates learning the psychological aspects of addiction. Which is allocated to the self-esteem and motivation. These aspects should be mainly considered in working with the youths.